ბუენოს-აირესში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არგენტინის ეპარქიის დაარსების 75-ე წლისთავი აღნიშნეს

2021 წლის 27 ივნისს, სულთმოფენობიდან პირველ, ყოველთა წმინდათა კვირიაკეს, ბუენოს-აირესის (არგენტინა) წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის კარის ეკლესიაში სადღესასწაულო საღვთო ლიტურგია ჩატარდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის არგენტინის ეპარქიის დაარსების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

სადღესასწაულო ლიტურგია აღასრულეს კარაკასისა და სამხრეთ ამერიკის ეპისკოპოსმა იოანემ (რუსეთის საზღვარგარეთული ეკლესია) და არგენტინისა და სამხრეთ ამერიკის ეპისკოპოსმა ლეონიდემ, ორი ეპარქიის კლირიკოსების თანამსახურებით.

საღვთო ლიტურგიას ესწრებოდნენ არგენტინაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს პირველი მდივანი,

ატაშე კულტურის მიმართულებით ო. ვ. კოლომინი და „Россотрудничество“-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი არგენტინაში ა. ა. ლებედევი.

ღვთისმსახურება შესრულდა საეკლესიო სლავურ და ესპანურ ენებზე.

მრჩობლი კვერექსის შემდეგ წაკითხულ იქნა ლოცვა მავნებელი ჰაერის გავრცელების წინააღმდეგ.

ლიტურგიის განტევებისას შესრულდა დღესასწაულის სადიდებელი.

შემდეგ სამხრეთ ამერიკისა და არგენტინის ეპისკოპოსმა ლეონიდემ ქადაგება წარმოთქვა, რომელშიც, აღნიშნა:

„ეპარქია – ეს არ არის მხოლოდ ტაძარი, სამლოცველო დაწესებულება, იერარქები და სამღვდელოება. ეს ასევეა ღმრთისმოყვარე ხალხი, რომელსაც უყვარს ტაძარი, უყვარს ლოცვა, უყვარს ერთობლივი ღვთისმსახურება. 75 წლის მანძილზე ძალიან ბევრი იქნა მიღწეული. მაგრამ ეს ყველაფერი არ იქნებოდა არგენტინის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან კეთილი ურთიერთობის გარეშე, რუსეთის იმ ქვეყნების საელჩოებთან, სადაც ეპარქიის კანონიკური პასუხისმგებლობა ვრცელდება, „Россотрудничество“-ს წარმომადგენელთა, სავაჭრო წარმოამდგენელთა, რუსი თანამემამულეების ორგანიზაციების, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების გარეშე. და რა თქმა უნდა, რეგიონში წარმოდგენილ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან დიდი ხნის ძმური ურთიერთობის გარეშე. ურთიერთთანამშრომლობა ეკლესიის, სახელისუფლებო და არასახელისუფლებო სტრუქუტურებისა, დღეს იძლევა ძალიან კეთილ ნაყოფს, ქრისტეს სახარების თესლი ითესება მთელს სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. ჩვენ გულითადად ვმადლობთ ჩვენს თავმჯდომარეს – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესს პატრიარქ კირილეს – მისი მწყემსმთავრული ლოცვებისთვის, ზრუნვისა და მამობრივი შრომისთვის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე შორეული და ყველაზე დიდი ეპარქიისთვის. მადლიერების სიტყვას გადმოგცემთ ყველას, ვინც ამ დროს მოწოდებულია აქ თავისი მსახურებისთვის: უანგარო მწყემსებსა და ღვთისმოყვარე ერს“.

შემდეგ დამსწრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა არგენტინაში რუსეთის ფედერაციის საელჩოს პირველმა მდივანმა, ატაშემ კულტურის მიმართულებით ო. ვ. კოლომინმა და არგენტინაში „Росструодничество“-ს ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა ა. ა. ლებედევმა. სტუმრებმა ეპისკოპოსს ლეონიდეს არგენტინის ეპარქიის დაარსების 75 წლისთავი მიულოცეს, ეპარქიას კეთილდღეობა უსურვეს და იმედი გამოთქვეს შემდგომ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე.

შემდეგ გაჟღერდა მრავალჟამიერი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესთვის, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდისთვის და მთელი სამწყსოსთვის.

არგენტინისა და სამხრეთ ამერიკის ეპარქია/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87610/